

დამტკიცებულია  
დირექტორის  
2014 წლის 4 აგვისტოს  
N 01-04 ბრძანებით

ბ.ა.

2014 - 2020

## სტრატეგიული განვითარების გეგმა

/სტრატეგიული განვითარების  
გრძელვადიანი -6 წლიანი და მოკლევადიანი  
ერთწლიანი გეგმები/





## შესავალი

ბათუმის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - აკადემია ) საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს, რომელსაც საკუთარი დაწესებულების საქმიანობის ძირითად ფუნდამენტად მიიჩნევს.

აკადემიის საქმიანობა ეფუძნება რა დეკლარირებულ პრინციპებს და საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მნიშვნელოვან გამოცდილებას მიზნად ისახავს შექმნას ისეთი ტიპის დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია მის მიერ მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე და ამით გაიზიაროს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

აკადემიას მიაჩნია, რომ დაწესებულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელი ინდიკატორია - აკადემიის სტრატეგიის ფორმულირება. რომელშიც გაცხადებული იქნება აკადემიის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

წინამდებარე სტრატეგია შექმნილია იმისათვის, რომ აკადემიამ შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის განმჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. მასში ასახულია აკადემიის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები. წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ასევე ერთ წლიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია კალენდარული წლის განმავლობაში დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისათვის დაგეგმილი კონკრეტული აქტივობები.

აკადემია დარწმუნებულია, რომ მისი სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგ

## სტრატეგიული განვითარების გეგმა

მის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს აკადემიის ყველა დაინტერესებულმა პირმა.

### მისია




აკადემიის მისაა შეიმუშავოს ჯანდაცვის მიმართულების ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და უზრუნველყოს მისი რეალიზებით კვალიფიციური კადრების მომზადება როგორც, რეგიონის ასევე ქვეყნის შრომის ბაზრისათვის.

### მიზანი


აკადემია დეკლარირებული მისიიდან გამომდინარე მიზნად ისახავს შექმნას სამედიცინო პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უპასუხებს მის წინაშე მდგარ თანამედროვე გამოწვევებსა და შეძლებს თავის დამკვიდრებას, როგორც სამედიცინო პროფილის, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების მქონე და პროფესიული სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.





### სტრატეგიული განვითარების კონტექსტი

აკადემია თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე კონცენტრირებულია ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე, ამ სპეციფიკისა და რეგიონალური ფაქტორის გათვალისწინებით, მისი სტრატეგიული გადაწყვეტილებაა ერთის მხრივ დაიმკვიდროს წამყვანი პოზიცია რეგიონში, როგორც სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებამ, ხოლო მეორე მხრივ თავის პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მაღალი ხარისხის სწავლება შეღავათიან ფასად.



## აკადემიის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

## საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება

BMA

## საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა:

- ჯანდაცვის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მათი მუდმივი განახლება და სრულყოფა, მოდულარულ სისტემაზე გადასვლის უზრუნველყოფა;
- ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის დასაქმების, ბაზრის მოთხოვნების მონიტორინგი (არსებული რესურსების გამოყენების ფარგლებში), ასევე სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა;
- პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა;
- პრაქტიკის შესაფასებელი კომპონენტების დახვეწა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება
- სწავლების მეთოდის მუდმივი განახლება;
- სტუდენტთა მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და პროცესებში სტუდენტების ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება და არსებულის შენარჩუნება;
- კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა, მათი ორგანიზაციული ფორმით ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის მუდმივი განახლება;
- საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციების გაუმჯობესება/დახვეწა;
- სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა.

**BMA**

**მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა:**

- ✚ აკადემიის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ✚ ზრუნვა სასწავლო ფართის გაზრდაზე;
- ✚ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება;
- ✚ აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება;
- ✚ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული ბაზის სრულყოფა;
- ✚ აკადემიის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება;
- ✚ აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება;
- ✚ სასწავლო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნა და ვირტუალური ლექციების დანერგვა;
- ✚ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა

**BMA**

**ადამიანური რესურსი:**

- ✚ სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✚ კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- ✚ ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა;
- ✚ სასწავლო პერსონალის მოვალეობების აღმწერის სრულყოფა,
- ✚ სარეკომენდაციო ბორდის საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;
- ✚ ადმინისტრაციული პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება ეფექტური მომსახურების საკითხებზე.

**BMA**

**ადმინისტრირება:**

- ✚ საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის სისტემის შიდა შეფასების მექანიზმების სრულყოფა;
- ✚ სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და რეკომენდაციების მიცემა;



- აკადემიის პროდუქტის (ხარისხიანი განათლება) მომხმარებლისათვის (პროფესიული სტუდენტი) შეთავაზების ეფექტური მეთოდებისა და ფორმების შემუშავება და სრულყოფა.

## სტრატეგიული განვითარების გეგმის სქემა

2014 წლის აგვისტოდან 2020 წლის აგვისტომდე

№	დაგეგმილი აქტივობა	ვის მიერ/პასუხისმგებელი*	ვადები	მოსალოდნელი შედეგი
<b>მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფა:</b>				
1	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	დირექტორი*, ადმინისტრაციული სამსახური	2014 - 2020	ახალი ინვენტარი/ტექნიკა, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტანდარტების განხორციელებისათვის შესატყვისი საშუალებები და ინსტრუმენტები
2	ზრუნვა სასწავლო ფართის მომატებაზე	დირექტორი	2014 - 2020	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებითა და სასწავლო ფართის დამატებით აკადემიას მიეცემა შესაძლებლობა გაზარდოს პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტი და არსებულ სტუდენტებსა და პერსონალისათვის შექმნას უფრო თანამედროვე და კომფორტული გარემო
3	ელექტრონული კანცელარიის დანერგვა	დირექტორი*, ადმინისტრაციული სამსახური	2015	საქმისწარმოება გახდება ოპერატიული, შეიქმნება ორგანიზაციაში შემუშავებული დოკუმენტთა ბაზა და საშუალება მიეცემათ აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს ელექტრონული წვდომით დაუკავშირდნენ ბაზას და მოიძიონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია და დოკუმენტაცია საქმისწარმოებასთან დაკავშირებით
4	აკადემიის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება და	დირექტორი, ადმინისტრაციული	2014 -2020	ვებ-გვერდის საქმიანობაში გამოყენების გააქტიურება, მატერიალურად





	გამრავლაფეროვნება ელექტრონული სერვისებით	სამსახური		მომსახურების სერვისების ელექტრონული ჩანაცვლება, რაც საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის
5	ბიბლიოთეკის ფონდის განახლება	ბიბლიოთეკა, დირექტორი*	2014-2020	საგანმანათლებლო პროგრების სრულფასოვანი განხორციელება, პროფესიული სტუდენტებისათვის განახლებული ლიტერატურის შეთავაზება ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებებს
6	სასწავლო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნა და საპილოტე ვირტუალური ლექციების დანერგვა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე*, <b>სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი</b>	2014-2015	ვიზუალური ლექციების გამოყენება სასწავლო პროცესში დადებითად მოქმედებს პროფესიული სტუდენტის მიერ მასალის აღქმადობის, სწრაფად გაანალიზებისა დამახსოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვიზუალური ლექციების მეშვეობით თეორიული საკითხები ორიენტირებულია მის პრაქტიკაში გამოყენებაზე და პროფესიული განათლებისა და სტუდენტისათვის არსებითი მნიშვნელობის არის.
7	საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, <b>სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*</b>	2014 - 2020	პროფესიულ სტუდენტი შეძლებს დროის ეფექტურად გამოყენებას, ვინაიდან მას არ მოუწევს მისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად დიდი მოცულობის თეორიული მასალის დამუშავება და მათგან სასარგებლო ინფორმაციის ათვისება, არამედ ამ მასალების მეშვეობით,რომელიც თავისი შინაარსით თანმიმდევრულად უპასუხებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და სტუდენტს მიაწოდებს მხოლოდ იმ მოცულობით ინფორმაციას რაც მას საგანმანათლებლო პროგრამით

			განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.	
<b>ადამიანური რესურსი</b>				
1	სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*	2014 - 2020	სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების შედეგად აკადემია უზრუნველყოფს სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სწავლების უზრუნველყოფას
2	კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*	2014 -2020	კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალი აკადემიისათვის არის წარმატების მთავარი ინდიკატორი
3	ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*	2014-2020	ადმინისტრაციულ პერსონალს გამოუმუშავდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეფექტური მართვისა და მომსახურების უნარები, ხოლო სასწავლო პერსონალის პრაქტიკული მიმართულებით გადამზადება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების არსებითი დევიზის - „ცოდნა უფრო პრაქტიკული ვიდრე თეორიული „ რეალიზებას
4	სასწავლო პერსონალის მოვალეობების აღმწერის სრულყოფა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგი	2015	სამუშაო აღწერილობის დახვეწით აკადემია უზრუნველყოფს აკადემიის სასწავლო პერსონალმა თავისი უფლება-მოვალეობები იცოდეს არა მხოლოდ ზოგადი პრინციპების



		ული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*		დონეზე, არამედ დეტალურად, რაც მისთვის ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს თუ რა და როგორ უნდა აკეთოს. ამავდროულად უზრუნველყოფილია სასწავლო პერსონალსა და აკადემიას შორის ურთიერთობის გამჭვირვალობა და სამართლიანობა.
5	მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*	2014 - 2020	გაიზრდება აკადემიის ფართო საზოგადოების ჩართულობა მართვასა და ხარისხის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა - განვითარებაში, მრჩეველთა საბჭოს მუშაობის გაძლიერებით მცირდება რისკი ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების, ასევე ბორდი თავისი შემადგენლობიდან და საქმიანობიდან გამომდინარე არის ერთდროულად შიდა და გარე შემფასებელი აკადემიაში მიმდინარე პროცესებისათვის, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურად იდენტიფიცირებას, ხოლო ეს უკანასკნელი აკადემიის სწორი და ეფექტური განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია.
6	ადმინისტრაციული პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება ეფექტური მომსახურების საკითხებზე.	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*		ადმინისტრაციული პერსონალის დატრენინგება ეფექტური მომსახურების საკითხებზე უზრუნველყოფს საქმიანობის საგნის იმგვარად რეალიზებას, რომ აკადემიის მომსახურების მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდეს
<b>საგანმანათლებლო პროგრამები</b>				
7	პროგრამების შემუშავება, მუდმივი განახლება და	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო,	2014-2015	პროგრამების შემუშავება უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განაცხადის შეტანას



## სტრატეგიული განვითარების გეგმა

	სრულყოფა, მოდულა-რულ სისტემაზე გადას-ვლის უზრუნველყოფა	დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*		საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვებისათვის, მათი მუდმივი განახლება და სრულყოფა უზრუნველყოფს აკადემიის შიდა მეთოდებისა და გარე გამოწვევების რეალიზებას, ხოლო მოდულარულ სისტემაზე გადასვლა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ახალი სისტემის დანერგვის თანმიმდევრულ რეალიზებას.
8	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი* სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	2014-2015	შეფასების მექანიზმების დახვეწა უზრუნველყოფს პროგრამის შეფასება და სწავლების ხარისხის დონის განსაზღვრა იყოს გააზრებული, ობიექტური, თანმიმდევრულად ასახავდეს არსებულ მოცემულობას იძლეოდეს შესაძლებლობას სწორი ანალიზის გაკეთების.
9	პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა	მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი* სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	2014	სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ქცევა) შეფასება იყოს გამჭვირვალე და ვალიდური. შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების იმგვარი ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარება და მისი მოტივაციის ზრდა.
10	პრაქტიკის შესაფასებელი კომპონენტების დახვეწა და შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა	2014	პრაქტიკის კომპონენტის შეფასება პირდაპირ პროპორციულია პროფესიული სტუდენტისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის ვალიდურობის დასადგენად და მისი მზაობის განსასაზღვრად არის თუ

		და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*		არა შრომის ბაზარზე გასასვლელად მზად. ამ გარემოებებიდან გამომდინარე პრაქტიკის კომპონენტის შეფასების მექანიზმების, ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების სწორი ფორმულირება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. კერძოდ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების დახვეწის შედეგი იქნება პროფესიული სტუდენტის სრულყოფილი მზაობა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისადმი და ჩამოყალიბებული ადაპტირების უნარი შესაბამისი ორგანიზაციული მოწყობის დაწესებულებაში.
11	სწავლების მეთოდის მუდმივი განახლება	სარეკომენდაციო ბორდი, დირექტორის მოადგილე*	2014 - 2020	პროფესიული სტუდენტის მიღწევები რელევანტური იქნება იმ დროისათვის არსებული მოთხოვნებისა, როგორც საგანმანათლებლო სივრცეში ასევე შრომის ბაზარზე არსებულის.
12	სტუდენტთა მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და პროცესებში სტუდენტების ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი* სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	2014 - 2020	პროფესიულ სტუდენტზე, მის ეფექტურ მომსახურებაზე დაფუძნებული მართვა უზრუნველყოფს მთავარი დევიზის რეალიზებას - რაც შეიძლება ახლოს ჩვენს სტუდენტებთან, რათა ვიცოდეთ მათი საჭიროებები. ამ საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისები და მომსახურების მეთოდიკა უზრუნველყოფს ჩვენი მომხმარებლის კმაყოფილებას, რომელიც აკადემიის წინსვლისა და განვითარების ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.
13	პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება და	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგი	2014-2020	პროფესიული განათლების არსია „წვრთნა დასაქმებისათვის“ აკადემია თავის საქმიანობას მოაიზარებს მხოლოდ და მხოლოდ დამსაქმებლებთან ერთობლივი



## სტრატეგიული განვითარების გეგმა

	არსებულის შენარჩუნება	ული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*		საქმიანობის კონტექსტში. აკადემია შრომის ბაზრიდან გამომდინარე იღებს „დაკვეთას“- გაყიდოს მომსახურება (განახორციელოს სწავლება შესაბამისი პროფესიული პროგრამების მეშვეობით) შესაბამისად აკადემიის ახლანდელი საქმიანობის ხარისხი და მისი განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია მის ურთიერთობაზე დამსაქმებლებთან - არის თანამშრომლობა თანმიდევრული, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული?!- ასეთივეა აკადემიის განვითარების დინამიკაც.
14	საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციების შემუშავება გაუმჯობესება/დახვეწა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*	2014 - 2020	საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი რეგულაციებით. ამდენად მათი შინაარსი დიდი მნიშვნელობას იძენს. ეფექტურ და ხარისხიან მომსახურებაზე ორიენტირებული დებულებები, ინსტრუქციები უზრუნველყოფს აკადემიის წარმატებულ მართვასა და სწავლების ხარისხის განვითარებას.
15	სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, ორგანიზაციული კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დირექტორი, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მოადგილე, სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი*	2014-2020	რამდენადაც საგანმანათლებლო საქმიანობა თავისი შინაარსით სპეციფიკურია, ასეთ დაწესებულებებში ერთდულად უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური გარემოს შექმნა, ეფექტური მომსახურება, სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და თითოეული პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ერთიან პრინციპს.

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა-გრაფიკი

✓ პირველადი პრიორიტეტი - აკადემიის მიერ ავტორიზაციის პროცესის წარმატებულად განხორციელება

შესასრულებელი აქტივობა	ვადები											
	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი
ავტორიზაციის პროცედურების წარმატებით გავლა												
პოტენციური პროფესიული სტუდენტების მოზიდვა ავტორიზაციის მოპოვების შედეგად განსახორციელებელ პროფესიულ პროგრამებზე.												
საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა												
სტუდენტის მიღწეული კომპეტენციების შეფასების სისტემის დახვეწა												
სწავლების მეთოდის მუდმივი განახლება												
სტუდენტთა მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და პროცესებში სტუდენტების ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა												
პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება												



სტრატეგიული განვითარების გეგმა

და არსებულის შენარჩუნება												
საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციების შემუშავება, გაუმჯობესება/დახვეწა												
სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, კორპორაციული კულტურის განვითარების ხელშეწყობა												
აკადემიის ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის გაუმჯობესება												
ზრუნვა სასწავლო ფართის გაზრდაზე												
სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება												
აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება												
აკადემიის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება												
სასწავლო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნა და ვირტუალური ლექციების დანერგვა												
საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა												
სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა												
კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა												
ტრენინგებში,პრაქტიკული უნარ-												





სტრატეგიული განვითარების გეგმა

ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა													
მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა													
ადმინისტრაციული პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება ეფექტური მომსახურების საკითხებზე.													
<b>მონიტორინგი და შეფასება</b>													
სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის სისტემის შიდა შეფასების მექანიზმების სრულყოფა													
სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და რეკომენდაციების მიცემა													
მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემების განვითარების ხელშეწყობა და სრულყოფა													

